კომუნისტი

№ 161 (12869)
ოთხშაბათი,
11
ივლისი,
1962 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ГУШИН კრემლის ყრილობათა სასახლეში საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის დილის სხდომაზე, რომელსაც განის პარლამენტის წევრი კაპაკო ბოატენგა თავმჯდომარეობდა, დელეგატებს საბჭოთა დედაქალაქის მშრომელთა სახელით მიესალმა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ა. დიბაი. დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ბრაზილიელი მწერალი ალვარო ლინსი, პროფესორი სტანისლავ კულჩინსკი (პოლონეთი), კუბის წარმომადგენელი, პაკანის უნივერსიტეტის რექტორი დ-რ ხუან მარინელიო, გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვერნერ ხარტკე, ლაოსის ხალხის წარმომადგენელი ტხაო დეანი, ცნობილი ჩილელი პოეტი, „ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის laureატი პაბლო ნერუდა, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებისათვის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნგუენ ვან ხიე, იტალიის წარმომადგენელი ლელიო باسსო, ირლანდიელი კოლინზი (ინგლისი), მაროკოს წარმომადგენელი მოჰტარ ატლადი, შვეიცარიის პარლამენტის წევრი აუგუსტ სკონგბერგი, ამერიკის შეერთებულ შტატებში მშვიდობისათვის ქალთა მოძრაობის წარმომადგენელი რუთ სეიდანი, სირიელი, ხალილ ალასანი, იუგოსლავიის დელეგაციის ხელმძღვანელი მლადენ ივეკოვიჩი, კათოლიკე ეპისკოპოსი უნგრეთიდან ენდრე

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

მოგესპობთ მასობრივი გაჟღერტის საშუალებებს, არ ავკრძალავთ ატომურ იარაღს. ჩვენ მოვითხოვთ ომის წარმოების მატერიალურ შესაძლებლობათა სავსებით მოსპობას.

განიარაღებულ მსოფლიოში სახელმწიფოთა ურთიერთობაში შეუძლებელი გახდება „ძალის პოზიციის“, „ომის ზღვარის“, „ატომური დაშინების“ პოლიტიკა. საყოველთაო და სრული განიარაღების ლოზუნგი იგივეა, რაც ლოზუნგი „ძირს ომი ხალხთა შორის, გაუმარჯოს მშვიდობას!“.

აი ამიტომ ბრძოლა საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის უპირველესი მოვალეობა ხდება მთელი მშვიდობისმოყვარე ძალებისა, ყველა ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციისა და მიმდინარეობისა, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. განიარაღება ჩვენი დროის უცილობელი მოთხოვნაა.

II. განიარაღების საბჭოთა პროგრამა

პატივცემულო დელეგატებო! საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანამიმდევრულად აწარკიელებს მშვიდობის განმტკიცებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის კურსს. როცა საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა წამოაყენა, საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობდა იმით, რომ საჭიროა რადიკალურად გადაიჭრას ყველა სახელმწიფოს უშიშროების პრობლემა — აღიკვეთოს ომების ატეხის თვით შესაძლებლობა.

რა არის ყველაზე მთავარი ჩვენს პროგრამაში? **განიარაღების მთავარი ღერძი და გულია ატომური იარაღის აკრძალვა და სრული მოსპობა.**

საბჭოთა მთავრობის წინადადებაა დასაწყისშივე, განიარაღების პირველსავე ეტაპზე ყოველ შემთხვევაში ამოვიღოთ შეიარაღებიდან ატომური იარაღი, გასაქანი არ მივცეთ მას, მოვსპოთ მიზანთან მისი მიტანის ყველა საშუალება. ჩვენი წინადადებაა ერთბაშად მოისპოს რაკეტები, თვითმფრინავები, წყალზედა და წყალქვეშა სამხედრო ხომალდები. რომლებსაც შეუძლიათ ზიდონ ატომური იარაღი, ატომური საარტილერიო დანადგარები, მოისპოს აგრეთვე უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზა სხვის ტერიტორიებზე და გაყვანილ იქნან უცხოეთის მთელი ჯარები სხვათა ტერიტორიიდან. თუ არ იქნება რაკეტები, არ იქნება თვითმფრინავები, წყალზედა და წყალქვეშა სამხედრო ხომალდები, ატომური იარაღი აღარ იქნება საშიში იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე არაკეთილსინდისიერი მთავრობა შეეცდება მიმალოს ამ იარაღის ნაწილი. მიტანის საშუალებათა მოსპობით იმ ქვეყანას, რომელსაც ატომური იარაღი აქვს, შესაძლებლობა არ ექნება ატომური დარტყმა მიაყენოს სხვა ქვეყნებს. ასეთი წინადადება წამოაყენა თავის დროზე საფრანგეთის პრეზიდენტმა გენერალმა დე გოლმა და ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მას. სამწუხაროდ, საფრანგეთის მთავრობამ არ მიიღო რაიმე ქმედითი ღონისძიებანი თავისი წინადადების რეალიზაციისათვის. უფრო მეტიც, მან უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს ჟენევის მოლაპარაკებაში განიარაღების შესახებ.

ამბობენ, რომ ატომური იარაღის ტრანსპორტირება შეიძლება „ტუ-114“, „ბოინგ-707“ და სხვა სამოქალაქო თვითმფრინავებით. მაგრამ თუ ნამდვილად გვაქვს სურვილი განვახორციელოთ განიარაღება, შეიძლება რაღაც პერიოდში შევინარჩუნოთ ქვეყნებში დასაცავი საშუალებანი: საზენიტო არტილერია, საჰაერო რაკეტები და ავიაგამანადგურებლები. თანამედროვე ტექნიკა საშუალებას გვაძლევს ჩამოვაგდოთ ყოველი თვითმფრინავი, რა სიმაღლეზეც უნდა დაფრინავდეს. როგორც ხედავთ, ეს მოსაზრება თავიდან ბოლომდე უსაფუძვლოა.

საბჭოთა კავშირი, რომელიც აყენებს წინადადებას მიზანთან ატომური იარაღის მიტანის ყველა საშუალების ლიკვიდაციით დაიწყოს განიარაღება და რომელსაც აქვს მსოფლიოში ყველაზე მძლავრი გლობალური და საკონტინენტთაშორისო რაკეტები, ნებაყოფლობით ამბობს უარს ფრიად არსებით სამხედრო უპირატესობაზე. მაგრამ ჩვენ უყუყმანოდ ვდგამთ ამ ნაბიჯს, რადგან მიგვაჩნია, რომ იგი შეესაბამება განიარაღების პრობლემის რაც შეიძლება მალე გადაჭრის ინტერესებს.

ჩვენი მხრივ მოვითხოვთ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები დათანხმდნენ მოახდინონ თავიანთი სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია სხვის ტერიტორიებიდან. ეს ბაზები შექმნილია არა თავდაცვისათვის, არამედ აგრესიის მიზნით. ვისთვის არ არის ნათელი, მაგალითად, რომ მაროკის რაკეტულ-ატომური ბაზები იაპონის კუნძულ ოკინავაზე ან ლიბიაში, აფრიკის მიწა-წყალზე, ან ბაზები ინგლისში, იტალიაში, თურქეთში, საბერძნეთში, ტაილანდში თავდაცვისათვის როდი ესაჭიროებათ ამერიკის შეერთებულ შტატებს? სხვაგვარი მტკიცება, ნიშნავს შავს თეთრად ასაღებდე.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს წევრის ბ-ნ დუგლასის აღიარება, რომელიც თავის ახალ წიგნში წერს: „ჩვენ გარს შემოვარტყეთ რუსეთს აეროდრომების რკალი, რომლებზეც ჩვენი ბომბდამშენები და ავიაგამანადგურებლები დღისით და ღამით სავსებით გამზადებული იყვნენ ბრძოლისათვის. ჩვენს ბაზებში შედიოდა მარაკო, სადაც მთელი რიგი წლების განმავლობაში ატომური ბომბებით აღჭურვილი ბომბდამშენები მთელ დღე-ღამეს ეწეოდნენ ვახტს ჰაერში და მზად იყვნენ გაშიფრული სიგნალის მიღებისთანავე წასულიყვნენ დასახული მიზნებისაკენ“...

ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ სანამ ეს ბაზები არის, იქნება ახალი მსოფლიო ომის საფრთხეც.

მკვეთრად რომ შენელდეს სახელმწიფოთა სამხედრო შეტაკების საფრთხე, საბჭოთა კავშირის წინადადებაა აგრეთვე განიარაღების დასაწყისშივე, მნიშვნელოვნად შემცირდეს სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების და, შესაბამისად ჩვეულებრივ შეიარაღებათა რაოდენობა. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია განიარაღების მთელი პროცესი დამთავრდეს ოთხ წელიწადში. ეს მოკლე, მაგრამ სავსებით საკმარისი ვადაა.

ჩვენ მზად ვართ ვეძებოთ და გამოვნახოთ ურთიერთმისაღები ფორმულირება ყველა დებულებისა, რომლებსაც შეიცავს ხელშეკრულების ჩვენი პროექტი, მოვახდინოთ სადაც საჭიროა, კომპრომისი, თუ, თავისთავად ცხადია, ეს ზიანს არ მიაყენებს საყოველთაო და სრული განიარაღების საქმეს. მხოლოდ ერთი რამისათვის არა ვართ მზად — იმისათვის, რომ უარი ვთქვათ საყოველთაო და სრულ განიარაღებაზე, გამოვაცალოთ ხელშეკრულების ჩვენს პროექტს შინაარსი და განიარაღების რეალური ღონისძიებანი. ამას არასოდეს არ დავეთანხმებით.

ჩვენ მოვითხოვთ განიარაღებას, და არა ლაპარაკს განიარაღების შესახებ. აღარ შეიძლება მოვითმინოთ ისეთი მდგომარეობა, როცა მოლაპარაკება განიარაღების შესახებ მიმდინარეობს, გამალებული შეიარაღება კი ძლიერდება. ამერიკის ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ ფორლდ რიპორტის“ გაანგარიშებით, 16 წლის განმავლობაში, 1946 წლიდან 1962 წლამდე განიარაღების საკითხებზე მოეწყო 863 საერთაშორისო სხდომა, რასაც დასჭირდა 17.000 საათი. ამასთან ამ დროის მანძილზე წარმოითქვა 18 მილიონი სიტყვა. სანამ მილიონობით სიტყვა განიარაღების საკითხებზე ისტორიის მკვდარ წილად იქცევა, იარაღს აწარმოებენ სულ უფრო მზარდი ოდენობით. დასავლეთის გარკვეული წრეები განიარაღების შესახებ მოლაპარაკებას სალაყბოდ აქცევენ იმისათვის, რომ განიარაღების შესახებ სიტყვების შირმით შეინარჩუნონ სამხედრო ბიზნესის მაღალი კონიუნქტურა, დაახვევონ იარაღის ახალი გროვები.

დასავლეთის სახელმწიფოების ქცევა ჟენევაში ცხადყოფს, რომ მათ არ სურთ განიარაღება. ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეების წარმომადგენელთა გამოსვლებს ჟენევაში წმინდა დეკლარაციული, მოჩვენებითი ხასიათი აქვს. ისინი ცდილობენ გაასაღონ თავიანთი ნეგატიური პოზიცია მისაღებ პოზიციად, ხოლო ჩვენ **შეთანხმების მოწინააღმდეგეებად** გამოგვაცხადონ. მაგრამ განვიხილოთ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებათა არსი.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დიდი ხნის დაყოვნების შემდეგ შეიტანეს ბოლოს განიარაღების შესახებ „ხელშეკრულების ძირითად დებულებათა სქემა“. ეს სქემა გვიჩვენებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია საყოველთაო და სრული განიარაღების მიმართ ძირითადად კვლავ უარყოფითია, თუმცა მეორეხარისხოვანი საკითხებით და ფორმით ეს პოზიცია ახლა უფრო შელამაზებულია და არც თუ ცოტა სიტყვებს შეიცავს განიარაღების შესახებ. სინამდვილეში „ძირითადი დებულებანი“ არ ითვალისწინებენ სწორედ ძირითადს: ატომური იარაღის სრულ აკრძალვას, სახელმწიფოების მიერ დაგროვილი მთელი მარაგის მოსპობას, სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას სხვის ტერიტორიებზე. დაეთანხმა ისეთ „განიარაღებას“ ნიშნავს იმას, რომ მოატყუო ხალხები, ზიანი მიაყენო მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

ისევე, როგორც წარსულში, მოლაპარაკების დაწყებისთანავე ამერიკის შეერთებული შტატები და მათი პარტნიორები შეეცადნენ მთელი ყურადღება ნაცვლად განიარაღების საკითხებისა, მიეპყროთ საერთაშორისო კონტროლის უბადაღებული პრობლემისათვის, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ განიარაღების პრობლემის მთელი არსია კონტროლი.

რაც შეეხება კონტროლის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადების არსს, ეს არის მხოლოდ ოდნავ განახლებული, მაგრამ მაინც იგივე ძველი მოთხოვნები, რომ დაწესდეს კონტროლი განიარაღებლად. მართალია, ახლა ამას აყალიბებენ უფრო ოსტატურად, ვიდრე უწინ, მაგრამ არსი წინანდებურია — საერთაშორისო ჯაშუშობის ლეგალიზებული სისტემის შექმნა პოტენციური აგრესორის ინტერესებისათვის. რუსი ხალხი ასეთ „სიახლეთა“ გამო ამბობს: იგივე წვენია, მაგრამ უფრო წყალ-წყალაა.

ჩვენი პოზიცია მარტივი და გასაგებია. იგი გამოიხატება იმით, რომ მოვსპოთ სხვადასხვა სახეობის შეიარაღება, ზედიზედ, მთლიანად. ამასთან ხელშეკრულების ჩვენს პროექტში ყოველი ნაბიჯი საყოველთაო და სრული განიარაღების დარგში მუდამ ითვალისწინებს მტკიცე საერთაშორისო კონტროლის ღონისძიებებს.

მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვართ დაწესდეს იმ შეიარაღების კონტროლი, რომელიც ჯერ კიდევ რჩება. დარჩენილ იარაღზე კონტროლი აუცილებლად იქნება დაზვერვა, იმის გამორკვევა, შეიცვალა თუ არა შეიარაღების შემცირების შედეგად ძალთა თანაფარდობა და ხომ არ არის შესაძლებლობა გამოიყენონ ეს ცვლილება თავდასხმისათვის. ვერც ერთი სახელმწიფო, რომელიც პატივს სცემს თავის თავს, ვერ დაეთანხმება ასეთ კონტროლს.

დასავლეთის სახელმწიფოები მოითხოვენ ყოვლისმომცველ კონტროლს და ამავე დროს გვთავაზობენ განიარაღების ფრიად შეზღუდულ ღონისძიებებს. ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებაა განიარაღება დავიწყოთ იმით, რომ 30 პროცენტით შევამციროთ სამხედროსთან ატომური იარაღის მიტანის საშუალებანი და ზოგიერთ სახეობათა ჩვეულებრივი შეიარაღება, რაც სახელმწიფოებს აქვთ.

მაგრამ საკითხავია, ეუსტდება თუ არა ამასთან ომის რეალური საფრთხე? არა, რადგან რჩება უზარმაზარი თერმოატომური პოტენციალი. უაღრესად სწორია პატივცემული ინდოელის პრემიერ-მინისტრი ბატონი ნეჰრუ, როცა აცხადებს: „განიარაღება აღარ არის შეიარაღების შემცირების საკითხი. დიდი სახელმწიფოების ატომური იარაღის არსენალის მეოთხედი ნაწილი საკმარისია იმისათვის, რომ განადგურდეს მთელი მსოფლიო“.

შემდეგ, როცა ამერიკის შეერთებული შტატები აყენებენ წინადადებას პირველ ეტაპზე 30 პროცენტით შემცირდეს საკონტინენტთაშორისო და გლობალური რაკეტების რაოდენობა, მათ სურთ ხელშეუხებელი დატოვონ სამხედრო ბაზების არსებული სისტემა. ამერიკის შეერთებული შტატები ფაქტიურად არ ითვალისწინებენ სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციასა და ამ ტერიტორიებიდან უცხოეთის ჯარების გაყვანას განიარაღების მესამე ეტაპზეც კი. ნუთუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირი დათანხმდება და შეამცირებს პირველ ეტაპზე 30 პროცენტით, ხოლო მეორე ეტაპზე კიდევ 35 პროცენტით თავის ყველაზე მძლავრი, ყველაზე სრულყოფილი საბრძოლო რაკეტების მარაგს იმ პირობებში, როცა ამერიკის სამხედრო ბაზები, რომლებიც განლაგებულია იმ ვარაუდით, რომ ამ ბაზებიდან მიაყენონ დარტყმა ჩვენს ტერიტორიას, სრულიად ხელშეუხებელი დარჩება? ჩვენ ჩვენი თავის მტრები როდი ვართ და არასოდეს ასეთ, უკაცრავად პასუხია, განიარაღებაზე არ დავთანხმდებით.

და, ბოლოს, საკითხისადმი ასეთი მიდგომის დროს ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობა ნაწილობრივ განიარაღებაზე გამოიყურება როგორც ფანდი, რომელიც მოგონილია იმისათვის, რომ გამოააშკარავონ ჩვენი ეროვნული უშიშროების ყველა არსენალი, ესე იგი გაუღონ კარი დაზვერვისა და ჯაშუშობის სისტემას და ამით გაუადვილონ ამოცანა პოტენციურ აგრესორს. ეგრეთწოდებული ინსპექციის ღონისძიებანი ზონების მიხედვით, რასაც ამერიკული „სქემა“ ითვალისწინებს, აგრეთვე ისახავენ აშკარა მიზანს — გამოარკვიონ საბჭოთა კავშირის რაკეტულ-ატომურ საშუალებათა ზუსტი დისლოკაცია. ამ შემთხვევაშიც, როგორც თვით ამერიკელები ამბობენ, „დაზვერვის კუდი ატრიალებს პოლიტიკის ძაღლს“.

ყველა სიძნელე კონტროლის საკითხში წარმოიშობა იმის გამო, რომ დასავლეთის სახელმწიფოები არსებითად ამორებენ მას გადამწყვეტი ამოცანის — ნამდვილი განიარაღების შესრულებას. ჩვენ ერთხელ კიდევ მივმართავთ დასავლეთის სახელმწიფოებს: მიიღეთ ჩვენი წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ და ჩვენ მივიღებთ ყოველ თქვენს წინადადებას კონტროლის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აყენებს წინადადებას შეიქმნას დიდი საერთაშორისო შეიარაღებული ძალები და დაჟინებით მოითხოვს, რომ აღიჭურვონ ეს ძალები ატომური იარაღით. ასეთი ძალების ნიმუშად იღებენ, კერძოდ, ეგრეთწოდებულ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს“ კონგოში. კანონიერად ისმება კითხვა — უკვე არაერთხელ დაგვისვამს იგი — ვინ გაუწევს სარდლობას ამ შეიარაღებულ ძალებს, ვის განკარგულებაში იქნებიან ისინი? ამერიკის შეერთებული შტატები ამბობენ, რომ ამ ძალებს სარდლობას გაუწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. მაგრამ რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში? გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატში მისი ახლანდელი სტრუქტურის დროს, როგორც ცხადყვეს კონგოს ამბებმა, გაბატონებული მდგომარეობა უჭირავთ იმავე სახელმწიფოებს, რომლებიც მართავენ ნატოს. ამ პირობებში დაეთანხმო ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას, ნიშნავს დაადგე თვითმკვლელობის გზას, განიარაღდე და შესაძლებლობა მისცე ნატოს გამოიყენოს საერთაშორისო შეიარაღებული ძალები იმისათვის, რომ გვიკარნახოს თავისი ნება.

პრობლემის ერთადერთი გონივრული გადაწყვეტა ის არის, რომ თანაბარი შესაძლებლობანი ჰქონდეთ გამოიყენონ საერთაშორისო ძალები. ახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოდგენილია სახელმწიფოთა სამი ჯგუფი და ყოველ მათგანს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებანი და შესაძლებლობანი.

განა შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგობის გამო დღემდე არ დაუკავებია თავისი კანონიერი ადგილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას!

მხოლოდ სახელმწიფოთა ყველა ჯგუფის თანასწორობის პირობებში არ მოხდება, რომ საერთაშორისო შეიარაღებული ძალები ბოროტად გამოიყენონ ქვეყნების რომელიმე ჯგუფის საზიანოდ. თავისთავად ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ საერთაშორისო შეიარაღებულ ძალებს გადაეცეთ ატომური იარაღი. ეს იგივეა, რომ აბუჩად იგდო ხალხები, რომლებიც მოითხოვენ ატომური ომის საშინელებისაგან სამუდამოდ ხსნას.

ამერიკის შეერთებული შტატები შემდეგ წინადადებას აყენებენ მიენიჭოს საერთაშორისო სასამართლოს, რომელშიც არ არსებობს ვეტოს უფლება, სრული უფლება გამოიტანოს ყველა სახელმწიფოსათვის საავალდებულო გადაწყვეტილებანი, მათ შორის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებზეც. ეს წინადადება, რომელიც არსებითად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და არარად აქცევს უშიშროების საბჭოს — საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის მთავარი ორგანოს როლს, მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის ინტერესების შელახვას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეცვლას ახალი საერთაშორისო პოლიტიკური სისტემით, რომელშიც დასავლეთის სახელმწიფოები ვარაუდობენ გაბატონებული მდგომარეობის დაკავებას. განა შეიძლება დავთანხმდეთ ამაზე? რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ამ წინადადებათა მიზანია არა მშვიდობის საქმის განმტკიცება, არამედ მისი ჩაფუშვა.

ამერიკის შეერთებული შტატები კვლავინდებურად უარზე არიან დაწესდეს საყოველთაო და სრული განიარაღების ღონისძიებათა განხორციელების საერთო ვადა, თუმცა ასახელებენ ახლა პირველი ორი ეტაპის ვადებს. ამერიკული სქემის დებულებანი ჩამოყალიბებულია ისე, რომ ისინი საშუალებას აძლევენ დასავლეთის სახელმწიფოებს უსასრულოდ გააჭიანურონ განიარაღების პროცესი და ჩაფუშონ კიდევაც იგი, თუ ამა თუ იმ მომენტში გამოტანენ დასკვნას, რომ სტრატეგიული მოსაზრებებით მათთვის ხელსაყრელი იქნება გადადგან ეს ნაბიჯი.

ბოლოს, არ შემიძლია დუმილით ავუაროო გვერდი იმას, რომ — როგორც სულ უფრო ირკვევა ჟენევაში — ამერიკის შეერთებულ შტატებს საერთოდ არ სურთ დადონ ხელშეკრულება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომელიც დაავალდებულებდა სახელმწიფოებს ზუსტად გარკვეულ ვადებში მოეხდინათ თავიანთი სამხედრო მანქანის ლიკვიდაცია. ამერიკის მთავრობის წარმომადგენლები პირდაპირ ეუბნებიან ჩვენს დელეგატებს ჟენევაში, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არასოდეს არ მოაწერს ხელს, ხოლო კონგრესი არ დაამტკიცებს ხელშეკრულებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ ლაპარაკობენ განიარაღების შესახებ, სინამდვილეში კი საწინააღმდეგო პოზიცია უკავიათ.

საბჭოთა კავშირი, როგორც ამას წარსულშიაც შვრებოდა, მზად არის გაითვალისწინოს დასავლეთის სახელმწიფოების ყველა სურვილი, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის გადაჭრის ამოცანას. მაგრამ ასეთი სურვილი ჯერჯერობით ძალიან ცოტაა.

ჩვენ მზად ვართ ყურადღებით განვიხილოთ მოლაპარაკებაში ჩვენი პარტნიორების ყოველი წინადადება, ვეძებოთ და გამოვნახოთ ურთიერთმისაღები გზები, რომლებიც წინ წასწევენ განიარაღების შესახებ ხელშეკრულების შემუშავების საქმეს. ჩვენ მზად ვართ ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ 18 სახელმწიფოს კომიტეტის (ჟენევაში) მუშაობა დაგვირგვინდეს წარმატებით, რომ კოლექტიური ღონისძიებებით შემუშავდეს განიარაღების ქმედითი პროგრამა.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა მოითხოვს ხელშეკრულების დადებას განიარაღების შესახებ, იძლევა რჩევას, როგორ გადაილახოს უთანხმოებანი. ამ მხრივ საყურადღებოა ზოგიერთი დებულება ინგლისელი ფილოსოფოსის ბერტრან რასელის წერილისა კონგრესისადმი.

ლორდი რასელი ამბობს: „მინდა, რომ დასავლეთის თვითეულმა წარმომადგენელმა მოლაპარაკებაზე განაცხადოს: „მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ატომური ომი კომუნიზმის მსოფლიო გამარჯვებაზე უარესია“. მინდა, რომ აღმოსავლეთის თვითეულმა წარმომადგენელმა მოლაპარაკებაზე განაცხადოს: „მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ატომური ომი კაპიტალიზმის მსოფლიო გამარჯვებაზე უარესია“. ის მხარე, რომელიც უარს იტყვის განაცხადოს ეს, თავის თავს გააკრავს საშარცხვინო ბოძზე როგორც კაცობრიობის მტერი და კაცობრიობის გაჟღერტის მომხრე“.

ჩვენ, სოციალისტური სამყაროს წარმომადგენლებს, არასოდეს არ განგვიცხადებია, რომ მსოფლიო მასშტაბით კომუნიზმის გამარჯვებისათვის მზად ვართ გავაჩაღოთ თერმოატომური ომი. ჩვენმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ რევოლუციის პირველ წლებში გამოაცხადა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა და განაცხადა, რომ კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა გადატანილ უნდა იქნას ეკონომიური შეჯიბრების სფეროში. ჩვენ სავსებით ვდგავართ ამ ლენინურ პოზიციებზე.

ბ-ნ რასელის წერილი ჩვენ გვესმის არა როგორც იმის მოწოდება, რომ წამოაყენონ ულტიმატუმი: ან ომი და ატომური სიკვდილი ანდა კომუნიზმი აღიარეთო, და პირიქით: ან ატომური ომი ან კაპიტალიზმი აღიარეთო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ ორივე მხარე იბრძოლებს თავისი იდეოლოგიის, თავისი პოლიტიკის გამარჯვებისათვის შეიარაღებული ძალების ზრდის, ომის მუქარის გზით, რასაკვირველია, საქმე წავა მსოფლიო თერმოატომური ომისაკენ. **მთელი მსოფლიოს წინაშე ვაცხადებთ, რომ ჩვენთვის უცხოა მსოფლიო ომის გაჩაღების პოლიტიკა კომუნისტური იდეოლოგიის გამარჯვებისათვის.**

ჩვენ ვითვალისწინებთ იმას, რომ მსოფლიოში არის ორი სისტემა: სახელმწიფოთა ერთი სისტემა ემყარება კაპიტალისტურ საფუძვლებს. მეორე სისტემა ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, სოციალისტურ საფუძვლებს. ამ სისტემებს შორის წარმოებს იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ ეს ბრძოლა არ გადავაქციოთ ომად სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა შორის, იმას, რომ ეს საკითხები გადაიჭრას მშვიდობიან შეჯიბრებაში. დაე სოციალისტური და კაპიტალისტური სამყაროს ყოველმა ქვეყანამ მშვიდობიან ასპარეზზე დაამტკიცოს თავისი წყობილების უპირატესობა. ამ უპირატესობის მთავარი მაჩვენებლებია: რომელი სისტემა — კაპიტალისტური თუ სოციალისტური — უზრუნველყოფს ხალხისათვის მეტ სიკეთეს, როგორც **მატერიალურს**, ისე სულიერს, ხალხის მასების ცხოვრებისა და კულტურის უფრო მაღალ დონეს, რომელი სისტემა იძლევა პიროვნების ნამდვილი თავისუფლების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს მწარმოებელი ძალების, კულტურისა და მეცნიერების სწრაფ განვითარებას (ადამიანთა ინტერესებისათვის, ხალხის ინტერესებისათვის).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ საკითხებზე [illegible] გადაიჭრას დავა, თუ ვისი სისტემა, ვისი [illegible] აღმოჩნდება [illegible] გრესული, რომელი წყობილება ნამდვილად ემსახურება ხალხის მასების ინტერესებს. ის სისტემა, რომელიც დამტკიცებს თავის უპირატესობას, დაეუფლება კაცობრიობის გონებას.

საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა, ყველაზე მკაფიო და ძლიერი დამამტკიცებელია ჩვენი მისწრაფებისა, რომ სადავო საკითხები გადაიჭრას არა ომის გზით, არამედ მშვიდობიანი შეჯიბრების საფუძველზე. ამასთან ერთად იგი მოწმობს ჩვენს რწმენას, რომ მოვიგებთ მშვიდობიან შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან. მეორე მხრივ, იმათ ვინც ეწინააღმდეგება განიარაღებას, ლაპარაკობენ ომის გარდუვალობაზე კაპიტალისტურ და სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის, მათ არა სწამთ კაპიტალიზმის ძალა, მისი გამარჯვება მშვიდობიან შეჯიბრებაში სოციალიზმთან. ამიტომ ისინი ებღაუჭებიან ატომურ ომს, როგორც ხსნას. დასავლეთის ქვეყნების მმართველი წრეების წარმომადგენლები ყველას გასაგონად აცხადებენ, რომ უკეთესია ატომური სიკვდილი, ვიდრე კომუნიზმის გამარჯვება. აი, მაგალითად, იტალიის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა პელამ განაცხადა: „იტალია ამჯობინებს ატომური თავდასხმის რისკს საბჭოთა კავშირის მხრივ, ვიდრე კომუნისტურ ბატონობაში ყოფნას“; ლორდმა ბერდვუდმა 1959 წლის 11 თებერვალს ლორდთა პალატაში თქვა: „უმალ ვამჯობინებ მოსპობას, ვიდრე ცხოვრებას კომუნისტურ სამყაროში“. ამერიკელი ავტორი როდნი ჯილბერტი წიგნში „კონკურენტული თანაარსებობა ახალი საბჭოთა გამოწვევაა“ აცხადებს: „წყეული იყოს სამყარო, სადაც არ იქნება გამარჯვება კომონიზმზე“. ერთ-ერთი მემარჯვენე ლიბერალისტული წინამძღოლი დონელიც კი გაიძახის: „სჯობს დავიხოცოთ, ვიდრე წითლები გავხდეთ“.

ეს ძალიან საშიში განცხადებებია. ისინი მოწმობენ, რომ დასავლეთის ზოგიერთ წარმომადგენელს სურს შეჯიბრება ეკონომიური დარგიდან, ისტორიის მიერ ამა თუ იმ სისტემის უპირატესობათა შემოწმების დარგიდან გადაიტანოს ომის დარგში. ეს ნიშნავს, რომ იმპერიალიზმის ბევრმა დამცველმა დაკარგა რწმენა, რომ კაპიტალიზმმა შეიძლება მოიგოს შეჯიბრება სოციალიზმთან, და მზად არის გააჩაღოს მსოფლიო გამანადგურებელი ომი, გამოიწვიოს მილიონობით ადამიანის სიკვდილი კაპიტალიზმის შენარჩუნებისათვის.

ჩვენ, კომუნისტები, დარწმუნებული ვართ სოციალიზმის ძალაში, მის უპირატესობებში. ეს უკვე დამტკიცა ისტორიამ. დროის მოკლე მონაკვეთში სოციალიზმმა ცხადყო თავისი სასიცოცხლო ძალა, თავისი უპირატესობა ეკონომიკის განვითარების ტემპში, მეცნიერების, ტექნიკის, სახალხო განათლების განვითარებაში, ხალხის მასებისათვის ნამდვილ თავისუფლებათა მინიჭებაში. ის სიმაღლეები, რომლებიც ახლა საბჭოთა კავშირს უპირავს, მკაფიოდ მოწმობს სოციალიზმის უპირატესობას. ჩვენ არ გვაშინებს შეჯიბრება კაპიტალიზმთან. დაე კაპიტალიზმმაც, როგორც ამას ბ-ნი რასელი მოითხოვს, უარი თქვას ომზე და სოციალიზმთან დავა გადაიტანოს მშვიდობიან შეჯიბრებაში.

ჩვენი პოზიციის დიადი მნიშვნელობა ის არის, რომ თანამედროვეობის ძირითადი სადავო საკითხის გადაწყვეტა, თუ რომელი წყობილებაა უკეთესი, — ხოლო ეს დავა დასავლეთის მმართველი წრეების ბევრ წარმომადგენელს მიაჩნია საომარი შეტაკების გარდუვალობის მთავარ მიზეზად — ჩვენ გადაგვაქვს სამხედრო დარგიდან სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი შეჯიბრების დარგში. ამით იქმნება შესაძლებლობა ვიხსნათ კაცობრიობა თერმოატომური ომისაგან.

მშვიდობის უზრუნველყოფის რადიკალური საშუალებაა ომის მატერიალური აპარატის სრული ლიკვიდაცია. ამ გზაზე საბჭოთა მთავრობა კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, საჭიროდ მიაჩნია შეთანხმდეს მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას და მნიშვნელოვანწილად გააადვილებენ საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებას. ასეთ ღონისძიებებად მიგვაჩნია სხვადასხვა რაიონში ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნა, უარის თქმა ატომური იარაღის შემდგომ გავრცელებაზე, ჯარების გაყვანა უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიებიდან, ომის პროპაგანდის აკრძალვა, თავდაუსხმელობის პაქტის დადება ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის და სხვ.

მაგალითად, ჩვენ ბევრჯერ ვცადეთ შევთანხმებოდით დასავლეთის სახელმწიფოებს განიარაღების შეზღუდულ პროგრამაზე, მაგრამ ყოველთვის ვაწყდებოდით მათ უარს.

ავიღოთ თუნდაც ჩვენი წინადადებანი განიარაღების შესახებ, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოთა განსახილველად შევიტანეთ 1955 წელს. ეს არ ყოფილა წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, საქმე ეხებოდა მხოლოდ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შემცირებას 1,5 მილიონ კაცამდე, ამასთან ეს ციფრი შემთხვევით როდი გაჩნდა — დასავლეთის სახელმწიფოებმა თვითონ დაასახელეს იგი მაშინდელი მოლაპარაკების მსვლელობაში, და მერე რა? როგორც კი ჩვენ დავთანხმდით მიგვეღო დონე 1,5 მილიონი კაცი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, ჩვენმა პარტნიორებმა მაშინვე უარყვეს ეს წინადადება.

1957 წელს საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადება შევთანხმებულიყავით განიარაღების თუნდაც ნაწილობრივ ღონისძიებებზე. ასეთ ღონისძიებათა რიცხვში ამჯერადაც შევიტანეთ თვით დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი — აგრესიის ფარული მომზადების გამოვლინების მიზნით აეროფოტოგადაღების ზონების შექმნის შესახებ. როგორც თქვენ, ალბათ, გახსოვთ, აეროფოტოგადაღების იდეას იმ დროს პრეზიდენტი ეიზენ

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

ხომ ყველასათვის გასაგებია, იმ დროს რომ მოხერხებულიყო შეთანხმება ჩვენს მიერ წამოყენებულ საფუძველზე, ომის წარმოშობის საფრთხე ახლა გაცილებით ნაკლები იქნებოდა. ახლა, როცა ჩვენი თავდაცვის მთავარი საშუალება გახდა რაკეტები და ნატოს გენერლები მზად არიან სული მიჰყიდონ ეშმაკს, ოღონდ შეიტყონ მათი განლაგება, ეს ღონისძიებანი უკვე აღარ შეიძლება განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღების ფარგლებს გარეთ.

საბჭოთა მთავრობა სხვადასხვა მხრიდან მიუდგა განიარაღების პრობლემას. მთელი რიგი წლების განმავლობაში ჩვენ მოვითხოვდით, მაგალითად, შეთანხმებას გერმანიის ტერიტორიიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის შესახებ ან პირველი დროისათვის ამ ჯარების შემცირებას მესამედით, ამასთან მხედველობაში გვქონდა მიგვეღწია დაძაბულობის შენელებისათვის ევროპაში, სადაც უშუალოდ ახლოს იყვნენ ერთმანეთთან სახელმწიფოთა ორივე დაჯგუფების შეიარაღებული ძალები. მაგრამ საბჭოთა მთავრობის ეს წინადადებაც ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა დასავლეთის სახელმწიფოთა უარყოფითი პოზიციის გამო.

სამწუხაროდ, დასავლეთის სახელმწიფოებს არ სურთ შეთანხმება განიარაღების საკითხებზე. მათი ნეგატივური პოზიცია განსაკუთრებით ჩაფიქრდა ჩანს უარში შეთანხმებაზე ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ.

ატომური იარაღის გამოცდა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ არის ატომური ომი. მაგრამ ამ გამოცდების შედეგები კაცობრიობისათვის უკვე ახლა ფრიად სერიოზულია. ატომური იარაღის გამოცდის ახალი დიდი სერია, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს ინგლისის მთავრობასთან ერთად, კაცობრიობის აბუჩად აგდებაა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ატომური იარაღის გამოცდას აწარმოებენ კოსმოსში, ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ ამ გამოცდების ზეგავლენა ადამიანთა ცხოვრების პირობებზე შეიძლება ფრიად საშიში აღმოჩნდეს.

პრეზიდენტმა კენედიმ განაცხადა: „ჩვენს ქვეყანაში არავითარი საფრთხე არ არის ჯანმრთელობისათვის, და ჩვენი გამოცდების შედეგად ეს საფრთხე არ გაჩნდება“. ბ-ნმა კენედიმ მართალი არ უთხრა თავისი ქვეყნის მოსახლეობას. მეცნიერების თანამედროვე მონაცემები მოწმობენ, რომ ამერიკის გამოცდებს უდიდესი ზიანი მოაქვს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის. გარდა ამისა, დედამიწაზე არსებობენ არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებნი, არამედ აგრეთვე ინგლისელები, რუსები, ჩინელები, იაპონელები, ფრანგები, იტალიელები და სხვა ხალხები. ღმერთკი, ვინც ასეთ გამოცდას აწარმოებს, საჭიროდაც არ მიიჩნიათ გაიხსენონ ეს ხალხები და ის, თუ რა ზიანს აყენებენ ამ ხალხების ჯანმრთელობას.

ყველასათვის ცხადია, რომ ატომური იარაღის ახალ, ყველაზე დიდ სერიას რომ ახორციელებენ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მათ მოკავშირეებს სურთ უზრუნველყონ თავიანთი სამხედრო უპირატესობა და გააძლიერონ აგრესიული კურსი. უკვე მრავალი წელია, მშვიდობის საქმისათვის ამ საშიშ პოლიტიკას ისინი დაჟინებით ეწევიან. თქვენ გახსოვთ, რომ 1958 წელს საბჭოთა კავშირმა ცალმხრივად შეწყვიტა ატომური იარაღის გამოცდები, როგორც მოიქცნენ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი? მათ გაძლიერეს გამალებული შეიარაღება. საფრანგეთმა დაიწყო ატომური ბომბების გამოცდები. აგრესიული ნატოს ბლოკი თანდათან აშკარად გვემუქრება ომით გერმანიის მშვიდობიანი ხელშეკრულების გამო. ამ პირობებში საბჭოთა კავშირი იძულებული იყო განეხორციელებინა ღონისძიებანი თავისი თერმოატომური იარაღის სრულყოფისათვის, რათა გონზე მოეყვანა ზოგიერთი ფიცხი ადამიანი, რომელიც მოითხოვდა რუსეთის „ერთი დაკვრით“ მოსპობას.

ჩვენ დანაშაულს ჩავიდენდით ჩვენი ხალხის წინაშე, მთელი კაცობრიობის წინაშე, წინააღმდეგობა რომ არ გაგვეწია 1961 წლის ზაფხულის ამბების საშიში განვითარებისათვის. ყველამ, ვინც თვალყურს ადევნებს საერთაშორისო ამბებს, იცის, რომ საბჭოთა კავშირის რაკეტულ-ატომური სიმძლავრე მშვიდობის დაცვის გადამწყვეტი საშუალებაა და უკვე არაერთხელ უხსნია კაცობრიობა მსოფლიო ომისაგან, რომლის დაწყებას ცდილობდნენ დასავლეთის იმპერიალისტური წრეები. და ახლაც, როცა, მილიტარისტები დასავლეთის ქვეყნებში აძლიერებენ თავიანთ აგრესიულ კურსს, ჩვენ არ შეგვიძლია არ ვზრუნავდეთ ღონისძიებებზე, რომლებიც განამტკიცებენ სსრ კავშირის, მთელი სოციალისტური ბანაკის თავდაცვითს ძლიერებას.

თავის ძლიერებას რომ განამტკიცებს საბჭოთა კავშირი მოქმედებს, არა მარტო თავისი ინტერესებისათვის, არამედ აგრეთვე მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის დაცვის ინტერესებისათვის. მაგრამ, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არა ვართ კმაყოფილი იმით, რომ იძულებული ვხდებით ბევრი ძალღონე და საშუალებანი მოვახმაროთ თანამედროვე იარაღის შექმნას. ჩვენ მეცნიერულ და ტექნიკურ კადრებს შეეძლოთ გაცილებით უკეთ გამოეყენებინათ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება. სოციალისტურ ქვეყნებში იარაღის სრულყოფა იძულებითი აუცილებლობაა. ბევრად უკეთესი იქნებოდა მთელი იარაღი ზღვაში გადაგვეყარა და ჩაგვეძირა. ჩვენ მოვითხოვთ საყოველთაო და სრულ განიარაღებას. ჩვენ მზადა ვართ ყველა სახელმწიფოსთან ერთად, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ, ხელი მოვაწეროთ შეთანხმებას ამ იარაღის ყოველგვარი გამოცდის აკრძალვის შესახებ. ეს იქნებოდა დიდი ნაბიჯი საყოველთაო განიარაღების გზაზე. მაგრამ სოციალიზმის ქვეყნების ცალმხრივ განიარაღებას ჩვენგან ნურავინ ნუ ელის!

„ატომური ჯინი“, რომელიც გარეთ გამოვარდა, უკვე დიდი ხანია კვლავ ბოთლში იქნებოდა დამწყვდეული, რომ დასავლეთის სახელმწიფოები არ ეწინააღმდეგებოდნენ ამას. კონტროლი გამოცდების შეწყვეტაზე ახლა აღარ წარმოადგენს რაიმე პრობლემას. თანამედროვე მეცნიერების მდგომარეობა საშუალებას იძლევა დიდი შრომის გაუწევლად აღმოვაჩინოთ კონტროლის ეროვნული საშუალებებით ატომური იარაღის ყოველი აფეთქება. შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ უკვე დიდი ხანია იქნებოდა დადებული, დასავლეთის სახელმწიფოები მოლაპარაკებაზე რომ იჩენდნენ იმ კეთილი ნების თუნდაც მცირე ნაწილს, რასაც სსრ კავშირი იჩენს.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საზღვარგარეთ გაგზავნა სამი დელეგაცია ერთი — ჟენევის მოლაპარაკებაზე, მეორე — ნატოს საბჭოს ათენის სესიაზე და მესამე—ყველაზე მრავალრიცხოვანი — შობისა და ჯონსტონის კუნძულების რაიონში ატომური გამოცდების ხელმძღვანელობისათვის. რომელი ამ დელეგაციის მოღვაწეობა უფრო მეტი სიცხადით ასახავს ამერიკული პოლიტიკის ჭეშმარიტ არსს? ყოველივე მოწმობს, რომ — მეორის და მესამისა. ჟენევაში გაგზავნილი დელეგაცია კი, მხოლოდ თავისებური „საფარია“. ახლახან, ამა წლის 16 ივნისს, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ განაცხადა: „ჩვენ იმის იმედს ვერ ვიქონიებთ, რომ შევძლებთ მივუახლოვდეთ ჩვენს მიზანს, თუ ძალის პოზიციიდან არ ვიმოქმედებთ“.

შობის კუნძულზე ახლანდელი აფეთქებები სწორედ ამ პოლიტიკის რეალური განხორციელებაა. ისინი ხალხებს იმედს უცრუებენ. მაგრამ ეს აფეთქებები ვერ შეასუსტებენ, ვერ შეარყევენ ჩვენს ნებას — კიბრძოლოთ განიარაღებისათვის, ატომური აფეთქებების შეწყვეტისათვის ყველგან და სამუდამოდ. თვით ისტორია სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვს: მოისპოს მთელი საომარი იარაღი და საშუალებანი.

პატივცემულო დელეგატებო! ნება მიბოძეთ ახლა რამდენიმე სიტყვა ვთქვა გერმანიის საკითხზე. ამ საკითხს პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს განიარაღებასთან, მაგრამ მჭიდროდ არის დაკავშირებული მასთან. გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგება და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაცია შეანელებდა საერთაშორისო დაძაბულობას და შექმნიდა კარგ ბაზას აგრეთვე განიარაღების საქმის წინსვლისათვის. ეს ბევრ სახელმწიფო მოღვაწის სულ უფრო მეტ გაგებას პოულობს.

მართლაც, მათ ვინც მშვიდობას ესწრაფვის, არ შეუძლია სერიოზულ შეშფოთებას არ განიცდიდეს, რამდენადაც ომი საშიშროების კერა ევროპის ცენტრში სულ უფრო ავბედითი ხდება. დასავლეთგერმანული მილიტარიზმი და რევანშიზმი, რამაც ხალხებს წარმოუდგენელი ტანჯვა მოუტანა, კვლავ გაასუქეს ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიების რძით და სულ უფრო აშკარად ადგება აგრესიის გზას, ავანტიურების გზას. თუმცა კანცლერ ადენაუერს ჰიტლერული რეჟიმის მოწინააღმდეგედ მოაქვს თავი, იგი ეყრდნობა ჰიტლერელ გენერლებს და ოფიცრებს, არსებითად ჰიტლერულ პოლიტიკას ახორციელებს. აი ფაქტები.

თავისი მმართველობის მანძილზე ადენაუერმა დასავლეთგერმანიის შეიარაღებაზე დახარჯა მეტი თანხები, ვიდრე ჰიტლერმა მეორე მსოფლიო ომის მომზადებაზე. ჰიტლერის სამხედრო ხარჯებმა 1933-1939 წლებში 90 მილიარდი მარკა შეადგინა, ხოლო კანცლერ ადენაუერის ხარჯებმა 1950-1961 წლებში — 100 მილიარდი მარკა. ამ ციფრებს არ შეიძლება არ ჩაუფიქრდეს მშვიდობის მოყვარე კაცობრიობა, ვინაიდან ეს სიკვდილისა და ხალხთა ტანჯვის ციფრებია. ჰიტლერელმა გენერლებმა უფლება მოიპოვეს უხელმძღვანელონ ნატოს სახმელეთო ჯარებს ევროპაში. ბონელი რევანშისტების საომარი მუსიკის ხმებზე უკვე დააბიჯებს ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, ციკვას იწყებენ უკვე დიდი სახელმწიფოები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო ხროვა გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს განიარაღებას და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. თავის დროზე, 1874 წელს, გერმანული მილიტარიზმის ერთ-ერთმა იდეოლოგმა მოლტკემ ცინიკურად განაცხადა: „მარადიული მშვიდობა — ეს ოცნებაა, ამასთან ულამაზო ოცნება“. ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნად მას შემდეგ. მაგრამ უცვლელი რჩება გერმანული მილიტარიზმის კანიბალური იდეოლოგია. სამხედრო მინისტრი შტრაუსი მთელი ძალღონით ეწინააღმდეგება განიარაღების ყოველ გეგმას. ბონის სამხედრო ხროვა ესწრაფვის ატომური ბომბის ხელში ჩაგდებას და როგორც ცხადყო ნატოს საბჭოს ათენის სესიამ, უკვე მიუახლოვდა იმას, რომ ხელთ იგდოს იგი.

ბონში არ მალავენ წარსული ომის შედეგების ძალით გადასინჯვის პოტსდამის შეთანხმებით დადგენილი გერმანიის საზღვრების რევიზიის თავიანთ გეგმებს. ბონელმა მინისტრმა ზეებმამ განაცხადა: „ჩეხოსლოვაკიას, პოლონეთს და საბჭოთა კავშირს იმის იმედი ნუ აქვთ, რომ ჩვენ ხელი ავიღეთ ოდერისა და ნოისეს გაღმა მდებარე ტერიტორიებზე“. მას ბანს აძლევს შლეზვიგ-ჰოლშტაინის პრემიერ-მინისტრი ფონ ჰასელი: „ჩვენი ტერიტორიული მოთხოვნები შორს სცილდება ოდერ-ნოისეს ხაზის საზღვრებს. ჩვენ გვინდა კვლავ დავეპატრონოთ გერმანიის ბატონობის ძველ მხარეებს“.

საქმე იქამდე მიდის, რომ ზოგიერთი რევანშისტი — პოლიტიკოსი და ბატონი ბრანდტი მათ შორის — ნებას აძლევს თავს დაემუქროს სოციალისტურ ქვეყნებს.

როცა ამ სიტყვებს ისმენთ, როცა აკვირდებით ბონელ პოლიტიკოსთა საქმეებს ეჭვი გებადებათ, 1962 წელს ცხოვრობენ ისინი, თუ მათი საათის ისრები გაჩერებულია ჰიტლერელთა დამპყრობლური ლაშქრობების პერიოდში.

საბჭოთა კავშირი მოითხოვს, რომ სამუდამოდ აღმოიფხვრას მეორე მსოფლიო ომის შედეგები, საზავო ხელშეკრულება დაიდოს ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან და ამის საფუძველზე ნორმალიზებულ იქნას მდგომარეობა დასავლეთ ბერლინში, რომელმაც შეიძლება აფეთქება გამოიწვიოს.

თითქოს ეს — ერთადერთი შესაძლებელი და გონივრული პოზიციაა. მიუხედავად ამისა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ილაშქრებენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ. ისინი ისწრაფვიან დაამკვიდრონ დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმი, შეინარჩუნონ იქ თავიანთი ჯარები. მაგრამ განა შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ ევროპის ცენტრში იმყოფებოდეს თოფის წამლის კასრი, რომელთანაც ანთებული პატრუქია მიტანილი? განა ეს შეესაბამება დასავლეთ ბერლინის ან რომელიმე სხვა ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებს?

ეს შეესაბამება მხოლოდ მომაკვდინებელი იარაღის ფაბრიკანტთა და დასავლეთ გერმანიის რევანშისტთა მიზნებს. სწორედ რომ ვთქვათ, დასავლეთის ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებზეც დამოკიდებულია შეთანხმება საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, თვითონ ესმით ეს, და არ თანხმდებიან დადონ იგი მხოლოდ იმიტომ, რომ არ აწყენინონ თავიანთ მოკავშირეს — კანცლერ ადენაუერს. ახლა დასავლეთი გერმანია და მისი შეიარაღებული ძალები ხდებიან უკვე ნატოს აგრესიული ძალების ძირითადი ბირთვი და სულ უფრო მეტად განსაზღვრავენ ამ ბლოკის პოლიტიკას. ისინი კი, ვისაც მიაჩნია, რომ ლიდერები არიან, აქეზებენ დასავლეთ გერმანიის რევანშისტებს, და ამას იმით ხსნიან, რომ არ უნდა დაირღვეს დასავლეთის ქვეყნების ერთიანობა. დასავლეთის ქვეყნების, ესე იგი ნატოს ქვეყნების ერთიანობის შენარჩუნების ლოზუნგით ემორჩილებიან ისინი დასავლეთ გერმანიის აგრესიული ძალების ნებას.

არ შეიძლება არ დავინახოთ სხვა რამეც. დასავლეთ ბერლინის ახლანდელი ოკუპაცია უკვე დიდი ხანია აღარ არის ის ოკუპაცია, რომელიც მხედველობაში ჰქონდათ მოკავშირეებს ოთხმხრივ შეთანხმებათა ხელმოწერის დროს ჰიტლერული გერმანიის განადგურების შემდეგ. ეს შეთანხმებები მიზნად ისახავდა მოესპო გერმანიის მილიტარიზმი და ნაციზმი, თავიდან აეცილებინა ახალი ომის საფრთხე, რასაც გერმანია ქმნიდა. დღეს კი ოკუპირებული დასავლეთი ბერლინი ნატოს განსაკუთრებული სახის სამხედრო ბაზაა, სადაც არიან ამ აგრესიული ბლოკის სახელმწიფოთა ჯარები, იგი მომართულია თავისი ყოფილი მოკავშირეების — საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ჰიტლერულ გერმანიას ეომებოდნენ.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ მიენიჭოს დასავლეთ ბერლინს, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს. ყველაზე საიმედო საერთაშორისო გარანტიები, ვცნოთ მისი მოსახლეობის უფლება თავისუფლად განსაზღვროს თავისი ცხოვრების წესი. დასავლეთის სახელმწიფოები კი ზრუნავენ არა დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის ბედზე, არამედ იმაზე, რომ შეინარჩუნონ იქ თავიანთი სამხედრო ბაზა.

საბჭოთა მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი ურთიერთ მისაღებ გადაწყვეტილებათა მიღწევისათვის, დათანხმდა, რომ გარკვეულ პირობებში საოკუპაციო ჯარები დასავლეთ ბერლინში შეიცვალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან ნეიტრალურ სახელმწიფოთა ჯარებით, რამდენადაც ამ საკითხზე არ ყოფილა მიღწეული შეთანხმება, ჩვენ მოვითხოვთ, რომ დასავლეთ ბერლინში იყვნენ ნორვეგიისა და დანიის ან ბელგიისა და ჰოლანდიის ჯარები, აგრეთვე პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ჯარები. ეს ჯარები, რასაკვირველია, უნდა იყვნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით, და არ უნდა იყვნენ არსებულ სამხედრო დაჯგუფებათა წარმომადგენლები.

დრო მიდის! თუ დასავლეთის სახელმწიფოები კვლავაც არ გამოიჩენენ სურვილს ხელი შეუწყონ მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციას, სოციალისტურ ქვეყნებს სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ერთად ისღა დარჩებათ, რომ დადონ საზავო ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, რა შედეგებიც უნდა მოჰყვეს ამას.

ლაოსის მაგალითი გვიჩვენებს, რომ როცა ესწრაფვიან შეთანხმებას, შეიძლება გამონახოს ყველაზე რთული და დახლართული საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების გზები. მეორე მსოფლიო ომის ნამრჩის ლიკვიდაცია საარსებოდ საჭიროა მშვიდობას საქმის ინტერესებისათვის, და ამ პრობლემის გადაჭრა აღარ შეიძლება კვლავაც გავაჭიანურო[illegible] კვეთა საზოგადოების ცხოვრებიდან. მტკიცე მშვიდობის დამყარება დედამიწაზე საქმე[illegible] რობის ერთ-ერთი ყველაზე [illegible].

ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში გამოჩენილი ამერიკელი პოეტი ჰენრი ლონგფელო თავის ცნობილ „სიმღერაში ჰაიავატაზე“ მოუწოდებდა „ყველა ხალხს სათათბიროდ“ და წინადადებას აძლევდა:

„ჩაფლეთ მიწაში მშვიდობა...
მოსწიეთ მშვიდობის ჩიბუხი“...

თუმცა მე თამბაქოს არ ვეწევი, მაგრამ მართლაც ბედნიერი ვიქნებოდი გამებოლებინა მშვიდობის ჩიბუხი ყველა სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან ერთად!

III. უიარაღო მსოფლიო დიდი სიკეთეა მთელი კაცობრიობისათვის

მშვიდობა, როგორც თქვა მსოფლიო კულტურის გამოჩენილმა წარმომადგენელმა მარტინ ანდერსენ ნექსემ, გვესაჭიროება „იმისათვის, რომ ვმრომობდეთ, იმისათვის, რომ ვხარობდეთ, იმისათვის, რომ გავხადოთ ცხოვრება უფრო მშვენიერი!“ განიარაღება და მშვიდობა მოგვცემდა შემოქმედებითს ჭეშმარიტად დაუშრეტელ წყაროს, რომელსაც ახლა აშრობს მილიტარიზმი. უზარმაზარი რესურსები, რომლებიც საომარი მზადების უფსკრულში იყრება, შეიძლება მოხმარდეს იმ გადაუდებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებას, რომლებიც ასე ბევრი აქვს კაცობრიობას.

უკანასკნელ ხანს დასავლეთში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, განიარაღების პრობლემა იპყრობს მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების ყურადღებას. მთელ რიგ შემთხვევებში მეცნიერები საკ ანალიზს უკეთებენ საყოველთაო განიარაღების შეესაძლო სოციალურ და ეკონომიურ შედეგებს.

ყურადღების ღირსია დასკვნები, რომლებიც გააკეთა მეცნიერ-ექსპერტთა ჯგუფმა, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დავალებით მოამზადა მოხსენება განიარაღების ეკონომიური და სოციალური შედეგების შესახებ. მოხსენებაში ნაზგასმულია, რომ განიარაღება მოიტანს კეთილნაყოფიერ შედეგებს და გააუმჯობესებს ყველა ქვეყნის ხალხთა მდგომარეობას. თუ მთავრობები მტკიცედ დაადგებიან იმ გზას, რომ სახსრები სამხედრო დარგებიდან გადაიტანონ მშვიდობიან დარგებში, მაშინ, როგორც ნათქვამია მოხსენებაში, „არც ერთ ქვეყანას არ ექნება შიში, რომ არ აღმოჩნდება იმ რესურსების მშვიდობიანი გამოყენების საკმაო სფერო, რომლებიც განიარაღების შედეგად გაჩნდება“.

ამასთანავე სამხედრო ბიზნესის იდეოლოგები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, პირდაპირ ნერგავენ ადამიანთა შეგნებაში, რომ სახელმწიფოს გიგანტური ხარჯები შეიარაღებისათვის თითქოს „ეკონომიური აყვავების“ საშუალებაა, ხოლო განიარაღებას მოჰყვება მხოლოდ ეკონომიკის რღვევა და უმუშევრობის გადიდება. განა საძაგელი, საშინელი არ არის თვით იდეა, რომ ეკონომიკის განვითარებისა და სამუშაოს, უზრუნველყოფილი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, დამოკიდებულია მოსპობის იარაღის მასობრივ წარმოებაზე?

ცხოვრება ამხილებს განიარაღების მოწინააღმდეგეთა ეკონომიური მოსაზრებების სიყალბეს. სამხედრო ხარჯების ზრდას შეიძლება მოჰყვეს სამრეწველო წარმოების მხოლოდ ხანმოკლე, არაჯანსაღი გაფართოება, ხოლო საბოლოო ანგარიშით იგი იწვევს ეკონომიურ მოდუნებას, მასობრივ უმუშევრობას. მართლაც, რომელ კაპიტალისტურ ქვეყნებში მიაღწია შეიარაღების ხარჯებმა უკანასკნელ წლებში ყველაზე დიდ მასშტაბს? უწინარეს ყოვლისა — ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო შემდეგ ინგლისში. კაპიტალიზმის რომელ ქვეყნებში იყო ყველაზე დაბალი ამავე წლებში მრეწველობის ზრდის ტემპი? ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში. მილიტარისტები და მონოპოლისტები, რომლებიც არნახულ მოგებას იღებენ იარაღის წარმოების შედეგად, აბრალებენ მასებს, რომ განიარაღების შემთხვევაში უმუშევარი დარჩება მილიონობით ადამიანი. დადგება „ეკონომიური კატასტროფა“. ასეთი თვალსაზრისი მოკლებულია საფუძველს. პირიქით, განიარაღება მოუტანს რეალურ ეკონომიურ სარგებლობას კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობის ყველა ფენას და უწინარეს ყოვლისა, მთელ მუშათა კლასს, გლეხობას, ქალაქის საშუალო ფენებს, გაათავისუფლებს მათ გადასახადების მძიმე ტვირთისაგან.

ურიგო რიდი იქნება მეწარმეებს, მეცნიერებს, მუშებს, ინჟინრებს, რომელთა კეთილდღეობა ამჟამად დამოკიდებულია გამალებულ შეიარაღებაზე, ავბედით „სიკვდილის ბიზნესზე“, მოვაგონოთ გერმანელი ანტიფაშისტი მწერლის ბერტოლდ ბრეჰტის შესანიშნავი დრამა „დედილა კურაჟი და მისი შვილები“. ამ დრამაში დახატულია მარკიტანტის ტრაგიკული სახე, რომელიც ცხოვრობს ომით, მაგრამ რომელსაც ომი ზედიზედ ართმევს შვილებს, ყოველგვარ აზრსა და მიზანს უკარგავს მის ცხოვრებას. ასევე მზადება ომისათვის დღევანდელი დღის მოჩვენებითი და წარმავალი სარგებლობის მისაღებად მოითხოვს ხვალ მძიმე საზღაურს — შვილებისა და შვილიშვილების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მომავალს.

რა თქმა უნდა მხოლოდ განიარაღება ვერ გადაწყვეტს ყველა სოციალურ პრობლემას, მაგრამ მოსპობის იარაღზე ძალებისა და საშუალებების უგუნური ხარჯვის შეწყვეტა, ამ საშუალებათა მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენება უთუოდ კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ყველა ქვეყნის ეკონომიკაზე.

კაპიტალიზმის ისეთი მდიდარი ქვეყნის, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, მილიონობით მცხოვრებს მწვავედ ესაჭიროება საცხოვრებელი ბინები, საავადმყოფოები, სკოლები. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადებითაც კი ამერიკაში „მეტად ბევრია უწიგნური და უსწავლელი“ და ამავე დროს აკლიათ 127 ათასზე მეტი საკლასო ოთახი.

სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობისათვის, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის არ არის სახსრები, ამავე დროს კი მილიარდობით დოლარი იხარჯება მოსპობის იარაღისათვის. განიარაღება შესაძლებელს გახდიდა გამოენახათ სახსრები ამერიკელი ხალხის გადაუდებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამერიკელ ეკონომისტთა გაანგარიშებით, განიარაღების შედეგად უახლოეს ხუთ წელიწადში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ამ მიზნებისათვის შეეძლო დაეხარჯა 330 მილიარდი დოლარი. ჯურღმულების გაწმენდას, საბინაო მშენებლობასა და წყლით მომარაგებას დასჭირდებოდა 160 მილიარდი დოლარი, სკოლების მშენებლობასა და განათლებას — 30 მილიარდი, ჯანმრთელობის დაცვასა და საავადმყოფოებს — 35 მილიარდი, გზების მშენებლობასა და სხვა მიზნებს — 105 მილიარდი. ამ ციფრების წინაშე იმსხვრევა მითი იმის შესახებ, რომ განიარაღების პირობებში ვერაფრით ვერ მოახდენენ ეგრეთ წოდებული სახელმწიფო სამხედრო ბაზრის კომპენსაციას.

განიარაღებისაგან მოიგებს დასავლეთის ყველა ქვეყნის ეკონომიკა. წაგებენ მხოლოდ დასაღის ერთი მუჭა ფაბრიკანტები, რომლებსაც მოესპობათ შესაძლებლობა სამხედრო მიწოდების საშუალებით ძარცვონ ხალხები. და რაც უფრო მალე მოესპობათ მათ ეს შესაძლებლობა, მით უფრო მოიგებენ ხალხები. მაგრამ იარაღის ფაბრიკანტებსაც, თუ მათ შერჩათ ადამიანობა, შეუძლიათ გარდაქმნან თავიანთი საწარმოები, რათა ადამიანთა მოსპობის საშუალებების ნაცვლად გამოუშვან ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებანი.

განიარაღების შედეგად დიდ მოგებას მიიღებენ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნები, რომლებიც იწყებენ ეროვნული აღორძინების გიგანტურ ამოცანათა განხორციელებას, და ხალხები, რომლებიც იბრძვიან კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებისათვის.

კოლონიური მონობის ბორკილებისაგან ხალხთა განთავისუფლება დიადი პროგრესული პროცესია. საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს კოლონიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა წმიდათა წმიდა, სამართლიან ბრძოლას. საბჭოთა კავშირის პოზიცია მკაფიო და ნათელია: **არც აზიაში, არც აფრიკაში, არც ლათინურ ამერიკაში, მსოფლიოს არც ერთ რაიონში არ უნდა იყოს არც ერთი ხალხი, კოლონიალიზმის ბორკილებით შებორკილი, ყველა ხალხი თავისუფალი უნდა იყოს!** ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლასა და განიარაღებისა და მშვიდობისათვის ბრძოლას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. საყოველთაო განიარაღებისათვის ბრძოლა აადვილებს ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. თავის მხრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებები განამტკიცებს მშვიდობის საქმეს, ხელს უწყობენ განიარაღებისათვის ბრძოლის გაძლიერებას.

კოლონიზატორები მუდამ ამკვიდრებდნენ და განამტკიცებდნენ თავიანთ ბატონობას იარაღის ძალით. ბუნებრივია, რომ ამ იარაღის წართმევა ეშვებს ამოაგლეჯდა კოლონიურ მტაცებლებს, სამუდამოდ მოსპობდა რაიმე კოლონიალისტური რევანშის შესაძლებლობას, საბოლოოდ და გადაჭრით გამოუთხრიდა ძირს მათი ბატონობის საფუძველს ჯერ კიდევ შემორჩენილ კოლონიებში. მე მსურს ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საბჭოთა წინადადებებში საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ საქმე ეხება, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ მოგსპოთ თანამედროვე მომაკვდინებელი იარაღი. ეს იარაღი კი კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლებს როდი აქვთ. განიარაღება ნიშნავს ომის ძალების განიარაღებას, მილიტარიზმის ლიკვიდაციას, სამხედრო ჩარევის აღკვეთას ყოველი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ყველა ფორმის კოლონიალიზმის სრულ და საბოლოო ლიკვიდაციას. ამიტომ განიარაღება სავსებით შეესაბამება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარების ინტერესებს.

მტკიცე მშვიდობის პირობებში ვერაფერი ვერ შეუშლის ხელს ამ ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინსვლას, იმას, რომ ეს ბრძოლა დაგვირგვინდეს სრული პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვებით.

ამჟამად ეკონომიურად სუსტადგანვითარებული ქვეყნები სამხედრო მიზნებისათვის ხარჯავენ დაახლოებით 5-6 მილიარდ დოლარს. ეს კოლოსალური თანხაა სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც პირდაპირ ყოველი კაპიკი ესაჭიროებათ იმისათვის, რომ თავი დაალწიონ სიღატაკესა და ჩამორჩენილობას. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ მშვიდობის, სამხედრო ხარჯების ტვირთისაგან განთავისუფლების პირობებში სუსტადგანვითარებული ქვეყნები შეძლებენ უფრო სწრაფად განავითარონ თავიანთი ეკონომიკა, მოიპოვონ ეკონომიური დამოუკიდებლობა.

განიარაღება აუცილებელ პირობებს შექმნიდა ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოებისადმი დახმარების მასშტაბის უდიდესი გაფართოებისათვის. მსოფლიოს სამხედრო ხარჯების საერთო თანხიდან, რომელიც ასოც მილიარდ დოლარს უდრის, ამ მიზნებისათვის რომ გამოგვეყო მხოლოდ 8-10 პროცენტი, ეს საშუალებას მოგვცემდა ოცი წლის განმავლობაში მოგვესპო დედამიწის გაჭირვებულ რაიონებში შიმშილი, ავადმყოფობანი და უწიგნურობა. სამხედრო საჭიროებისათვის გამოყენებული სახსრების ერთი მეხუთედიც კი, საკმარისი იქნებოდა 96 ისეთი მეტალურგიული გიგანტის ასაშენებლად, როგორიც არის, ბჰილაის ქარხანა ინდოეთში, რომელმაც წელიწადში 2,5 მილიონი ტონა ფოლადი უნდა გამოადნოს, ან 17 ისეთი გიგანტისა, როგორიც არის ასუანის კაშხალი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. ეს თანხა საკმარისი იქნებოდა 30-40 მსოფლიო მნიშვნელობის ენერგოსამრეწველო ცენტრის შესაქმნელად. მაგალითად, მძლავრი ინდუსტრიული კომპლექსების შესაქმნელად აფრიკის მდინარეების — ნილოსის, ნიგერის, კონგოსა და ზამბეზის აუზებში, საჰარაში, აზიის დიდი მდინარეების — ინდის, განგის, მეკონგის აუზებში, ანდების მთიანე

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ განიარაღებით უაღრესად არიან დაინტერესებულნი საბჭოთა კავშირისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხები. როგორც უკვე ვთქვით, საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები გამალებული შეიარაღების პირობებში იძულებული არიან დიდი სახსრები ხარჯონ თავიანთი თავდაცვის განმტკიცებისათვის. ჩვენ შეგვეძლებოდა ღირსეულად გამოგვეყენებინა განიარაღების შედეგად განთავისუფლებული სახსრები მშვიდობიანი შემოქმედებითი მიზნებისათვის ადამიანთა საედნიეროდ.

გასულ შემოდგომაზე სწორედ ამ დარბაზში სკკპ XXII ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელშიც დასახულია ისეთი ტიტანური სამუშაოების განხორციელება მატერიალური და სულიერი ფასეულობის შესაქმნელად, როგორიც არ ახსოვს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას. ნება მომეცით მოვიყვანო მხოლოდ რამდენიმე ციფრი და ფაქტი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს შევაფასოთ საბჭოთა ხალხის მიერ დასახული ამოცანების მასშტაბი.

ჩვენ გადავწყვიტეთ მივაღწიოთ იმას, რომ ოცი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირმა აწარმოოს თითქმის ორჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე დღეს უშვებს მთელი არასოციალისტური მსოფლიო. მაგალითად, 1980 წელს წარმოებულ იქნება 3.000 მილიარდი კილოვატ-საათამდე ელექტროენერგია, სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე მთელმა კაპიტალისტურმა მსოფლიომ აწარმოვა 1961 წელს. ჩვენ დავისახეთ დიადი ამოცანა შეგქმნათ ყველა დოვლათის სიუხვე და უზრუნველვყოთ განხორციელება პრინციპისა — თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით.

ჩვენი სამშენებლო გეგმების უმაგალითო გაქანება თავისთავად მეტყველებს, ახლა ბევრი ჩვენი მოძულეც კი აღიარებს, რომ ის, ვინც ისახავს და ახორციელებს ასეთ გეგმებს სასიცოცხლოდ უნდა იყოს დაინტერესებული მტკიცე მშვიდობით. ჩვენ შორს ვუმიზნებთ, ჩვენ ვგეგმავთ წლებსა და ათწლეულებს. ჩვენს გეგმებში, გაანგარიშებებში, ჩვენი მშენებლობის ამ სულ უფრო ჩქარ რიტმში, რომელიც ნებას გვაძლევს სოციალისტური ქვეყნების უზარმაზარი მასივი ელბიდან წყნარ ოკეანემდე შევადაროთ გიგანტურ სამშენებლო მოედანს, ადგილი არ არის ომისათვის.

საბჭოთა კავშირის, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნების, მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა უშუალოდ გამომდინარეობს ჩვენი საზოგადოების სოციალური ბუნებიდან, ორგანულად ახასიათებს მას. ჩვენს ეკონომიურ და სოციალურ სისტემაში არ არის მილიტარიზმის, დამპყრობლური პოლიტიკის, სამხედრო ბიზნესის არავითარი „მასაზრდოებელი გარემო". ჩვენ არ გვყავს რაიმე კლასები, ჯგუფები, პირები, რომლებიც ესწრაფვიან სხვისი ტერიტორიების, გასაღების საგარეო ბაზრების, კაპიტალის გამოყენების სფეროების დაპყრობას, არა გვყავს ადამიანები, რომლებიც მდიდრდებიან სახელმწიფო სამხედრო შეკვეთების გზით. ჩვენში არ შეიძლება იყოს ისეთი მდგომარეობა, როცა ცალკეული ჯგუფები აღვივებენ მილიტარისტულ ფსიქოზს, აშინებენ პარლამენტს, რათა მიიღწიონ ასიგნებათა გადიდებას შეიარაღებაზე და მოსახლეობისა და გადასახადების ზრდას. ჩვენ გვაქვს ყველა საჭირო რესურსები. საბჭოთა კავშირისათვის უცხოა რაიმე განზრახვა შეცვალოს საზღვრები, შეიძინოს ახალი ტერიტორიები ან ეკონომიურად დაიმორჩილოს სხვა ქვეყნები.

სოციალისტურ ქვეყნებს ორგანულად ახასიათებს მშვიდობისადმი მისწრაფება, მათთვის უცხოა აგრესიული ზრახვები სხვა ხალხების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სხვა კომუნისტური პარტიები მუდამ მოუწოდებდნენ ხალხთა შორის მეგობრობისათვის, და არა ერთი ხალხის მეორეზე თავდასხმისათვის.

რასაკვირველია, კლასობრივი ბრძოლა კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარეობს და იგი გარდუვალია, რადგან წარმოშობილია საზოგადოების კლასებად დაყოფით. კლასობრივი ბრძოლის შედეგი, ცხოვრების წესისა და წყობილების არჩევა თვითეული ქვეყნის მოსახლეობის საშინაო საქმეა.

ყველა ქვეყნის კომუნისტებმა, რომლებიც შეიკრიბნენ თავიანთ თათბირზე, 1960 წელს მიიღეს ხალხებისადმი მიმართვა, რომელშიც საჯაროდ გამოაცხადეს, რომ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლა თავიანთ წმიდათა წმიდა საქმედ მიაჩნიათ.

ჩვენს 20-წლიან შემოქმედებითს პროგრამაში განსაზღვრულია საბჭოთა საგარეოპოლიტიკური საქმიანობის მთავარი მიზანიც. იგი გამოიხატება იმით, რომ უზრუნველვყოთ მშვიდობიანი პირობები სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისა და სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარებისათვის და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად კაცობრიობა ვიხსნათ მსოფლიო გამანადგურებელი ომისაგან.

ჩვენს დროშაზე აღბეჭდილია დიადი იდეალები: მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, ყველა ხალხის თანასწორობა, ძმობა და ბედნიერება.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა განიარაღება სოციალიზმის იდეალად გამოაცხადა. უკვე 1922 წელს გენუაში პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობდა საბჭოთა სახელმწიფო, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა ვ. ი. ლენინის დავალებით წამოაყენეს წინადადება, რომ განხორციელდეს საყოველთაო განიარაღება, მოისპოს მუდმივი არმიები. ეს იყო პირველად კაცობრიობის ისტორიაში, როცა სახელმწიფომ წამოაყენა წინადადება საყოველთაო განიარაღების განხორციელების შესახებ. და ჩვენ ვამაყობთ, რომ ეს წინადადება შეიტანა ჩვენმა სოციალისტურმა სახელმწიფომ, მისი მთავრობის მეთაურმა ვ. ი. ლენინმა.

1922 წლის გენუასა და 1962 წლის ჟენევას შორის დიდი ისტორიული პერიოდია, რომლის განმავლობაში ჩვენს პლანეტაზე უდიდესი ცვლილებანი მოხდა. მაგრამ დღესაც, ისევე როგორც ორმოცი წლის წინათ, საბჭოთა პოზიცია განიარაღების საკითხებში პრინციპულად იგივეა.

ჩვენ მოვითხოვდით და მოვითხოვთ განიარაღებას, ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ საყოველთაო მშვიდობა. ყველაზე რადიკალური წინადადებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება, — გერმანიის საბავო ხელშეკრულების დადება, ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვა და სრული ლიკვიდაცია, უატომო ზონების შექმნა, შეიარაღებული ძალების შემცირება, მშვიდობის პაქტის დადება, მოლაპარაკების გზით ყველა სადავო საკითხის მოწესრიგება და, ბოლოს, როგორც ყველა წინადადების გვირგვინი, საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ხელშეკრულების პროექტი — გამომდინარეობდნენ და გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირისაგან. ჩვენ ვიბრძოდით მშვიდობისა და განიარაღებისათვის მაშინ, როცა ჯერ კიდევ სუსტნი ვიყავით სამხედრო თვალსაზრისით, ვიბრძვით განიარაღებისა და მშვიდობისათვის, ახლაც, როცა გვაქვს — უნდა ვთქვათ ეს პირდაპირ — მეტად სრულყოფილი იარაღი, რომელიც არ გააჩნია რომელიმე სხვა სახელმწიფოს. განა ეს ფაქტი საუკეთესო დადასტურება არ არის იმისა, რომ საბჭოთა კავშირს ომი არა სურს?

ჩვენ თვითონ, ცალმხრივი წესით, 1955-დან 1958 წლამდე 2 მილიონ 140 ათასი კაცით შევამცირეთ შეიარაღებული ძალები. ჩვენ უარი ვთქვით სამხედრო ბაზებზე. განა რომელიმე სახელმწიფოს შეუძლია ნება მისცეს თავს ასე დიდად შეამციროს შეიარაღებული ძალები, თუ იგი თავდასხმისათვის ემზადება? ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ იმ სახელმწიფოს, რომელიც ცდილობს მიაღწიოს მშვიდობას. და ჩვენ გწუხვართ, რომ ჩვენს მაგალითს არ მიბაძეს სხვა ქვეყნებმა, რომლებთანაც ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1960 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიცხვის კიდევ ერთი მესამედით— 1 მილიონ 200 ათასი კაცით შემცირების შესახებ. საბჭოთა კავშირმა დაიწყო ამ გადაწყვეტილების განხორციელება, და მხოლოდ დასავლეთის ქვეყნების აშკარა მუქარამ დაიწყოთ ომი სსრ კავშირის წინააღმდეგ შეგვაჩერებინა ჯარისკაცებისა და ოფიცრების შემდგომი დემობილიზაცია.

საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს დასავლეთის თავით ფეხთამდე შეიარაღებული აგრესიული ძალები რომ არ ემუქრებოდნენ, ჩვენ დიდი ხანია დავშლიდით ჩვენს არმიებს, მთლიანად გარდავქმნიდით სამხედრო მრეწველობას სამშვიდობო დანიშნულების პროდუქციის საწარმოებლად. უკანასკნელ ოთხ წელიწადში ჩვენ თავდაცვაზე ვხარჯავდით საშუალოდ 10 მილიარდამდე მანეთს წელიწადში ფასების ახალი მასშტაბით. ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად დაჩქარდებოდა ჩვენი გიგანტური აღმშენებლობითი პროგრამის შესრულება, ეს უდიდესი სახსრები მშვიდობიანი მშენებლობის საჭიროებებს რომ ხმარდებოდეს. მაგრამ სანამ არსებობენ აგრესიული იმპერიალისტური ძალები, ჩვენ იძულებული ვართ ვაწარმოებდეთ მძლავრ თანამედროვე იარაღს, გვყავდეს საჭირო შეიარაღებული ძალები, ვიცავდეთ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითს ძლიერებას იმ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს აგრესორის გადამწყვეტ და სრულ განადგურებას. მაგრამ ჩვენ მზად ვართ, თუ ამასვე გააკეთებენ კაპიტალისტური ქვეყნებიც, თუნდაც ხვალვე განვიარაღდეთ.

საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელება ჭეშმარიტად ისტორიული მობრუნება გახდებოდა ადამიანთა ცხოვრებაში — ომების ეპოქიდან დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის ეპოქისაკენ. ეს ისტორიული მობრუნება შეიძლება განხორციელდეს. იგი უნდა განხორციელდეს! ყველაფერი დამოკიდებულია ხალხთა მასებზე, მათს სიმტკიცესა და გამბედაობაზე.

IV. ხალხებს შეუძლიათ მიაღწიონ და უნდა მიაღწიონ განიარაღებას, შეინარჩუნონ მშვიდობა

კაცობრიობას შეუძლია იცხოვროს და უნდა იცხოვროს უომოდ. თანამედროვე ეპოქაში ომების ფატალური გარდუვალობა არ არსებობს, მაგრამ ამავე დროს არც მშვიდობის ფატალური გარდუვალობა არსებობს.

საკითხავია: აქვთ თუ არა ამჟამად ხალხებს შესაძლებლობა შეაჩერონ სრბოლა სიკვდილისაკენ, ახალი ომისაკენ? ჩვენ მთელი სიმტკიცით ვპასუხობთ: დიახ, აქვთ, ახლა არსებობენ რეალური, მძლავრი ძალები, რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან მშვიდობა. ესენი არიან საბჭოთა კავშირი და მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რომლებიც ქმნიან მძლავრ დაბრკოლებას ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების გზაზე. ესენი არიან ბევრი ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფო, მათ შორის ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორიც არიან ინდოეთი და ინდონეზია, რომლებიც მხარს უჭერენ საყოველთაო განიარაღებას და მშვიდობის განმტკიცებას. ესენი არიან მშვიდობისმოყვარე ძალები ყველა ქვეყანაში, რომლებიც იბრძვიან შეიარაღებული კონფლიქტების გაჩაღების თვით შესაძლებლობის ლიკვიდაციისათვის.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობას, რომელსაც სათავეში უდგას მშვიდობის მსოფლიო საბჭო, მშვიდობისათვის მებრძოლთა სხვადასხვა ორგანიზაციებს დიდი წვლილი შეაქვთ მშვიდობის დაცვის კეთილშობილურ საქმეში. კონგრესზე ჩამოვიდნენ წარმომადგენლები ბევრი ახალი ორგანიზაციისა, რომლებიც ჩაებნენ მშვიდობისათვის ბრძოლაში, და ეს ცხადყოფს, რომ მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობა მტკიცდება და ფართოვდება.

მშვიდობისათვის ბრძოლა, რომელსაც კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა საუკეთესო წარმომადგენლები ეწევიან, დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან. ამ მამაც ადამიანებს, რომლებიც ჭეშმარიტად კაცობრიობის სინდისს წარმოადგენენ, სეტყვასავით ატყდებათ თავს რეპრესიები. მაგრამ, მიუხედავად სიძნელეებისა, ისინი შეუპოვრად განაგრძობენ თავიანთ კეთილშობილურ საქმეს. და მაღლიერი კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს მათს ღონისძიებებს.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება მოველოდეთ, რომ ბატონი მილიტარისტები თვითონ მოინდომებენ განიარაღდნენ. ომის მოყვარული წრეები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ და კვლავ გაუწევენ განიარაღების საქმეს. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ სანამ ევროპასა და ამერიკაში არსებობს მილიტარიზმი — ომის ქარტეხილებისა და ბნელი ღრუბლების ეს მატარებელი, ომის საშიშროება დარჩება. მაგრამ მსოფლიოში ახლა არიან ძალები, რომლებსაც შეუძლიათ აიძულონ ისინი განიარაღდნენ.

ჩვენს თაობას მძიმე განსაცდელი ხვდა, მას მხრებზე დააწვა დიდი პასუხისმგებლობა. თუ გავუძლებთ ამ განსაცდელს, ავლაგმავთ აგრესიულ ძალებს, — ეს იმას ნიშნავს, რომ საიმედო მომავალს შევქმნით კაცობრიობისათვის.

ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ ხვალინდელ დღეზე, თავიანთი შვილების ბედნიერებაზე, არ შეიძლება არ ესმოდეთ, რომ თუმცა ამ წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, მაგრამ საჭიროა გაკეთდეს მეტი — ასგზის, ათასგზის მეტი.

რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, დასავლეთ გერმანიაში, საფრანგეთსა და აგრესიული ბლოკების მონაწილე სხვა ქვეყნებში არიან დიდი ძალები, რომლებიც ქმედით ბრძოლას ეწევიან მშვიდობის განმტკიცებისათვის, ქვეყნებსა და ხალხებს შორის ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღების დიადი იდეის განხორციელებისათვის. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებს მმართველი კლასების ბევრი წარმომადგენელიც, რომლებიც ფხიზლად, რეალისტურად აფასებენ ახლანდელ მდგომარეობას მსოფლიოში.

მაგრამ თუ გულზე ხელს დავიდებთ და ისე ვილაპარაკებთ, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ბევრ ადამიანს დასავლეთის ქვეყნებში ვერ შეუგნია თერმოატომური ომის საფრთხის მთელი სიღრმე, და არ მონაწილეობს აქტიურ ბრძოლაში განიარაღებისა და მშვიდობისათვის. მშვიდობისათვის ბრძოლაში არ ჩაბმულან ბევრი პროფკავშირი, მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის დიდი რაზმები, მათ კი მშვიდობისათვის ახლანდელ მებრძოლებთან ერთად უნარი შესწევთ აიძულონ დასავლეთის ქვეყნების მმართველი წრეები ანგარიში გაუწიონ ხალხთა ნებას. მნიშვნელოვანი რაოდენობა ადამიანებისა მოტყუებულია იმ პარტიების ლოზუნგებით, რომლებიც მხოლოდ წარმოთქვამენ, განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიების პერიოდში, ლაშაზ სიტყვებს მშვიდობის შესახებ, მაგრამ სინამდვილეში მთავრობები, რომლებიც ამ პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგებიან, გამალებულ შეიარაღებას ახორციელებენ, ის პარტიები კი, რომლებსაც წილი უდევთ ნატოს, სეატოს, სენტოს აგრესიული ბლოკების შექმნაში, კვლავ და კვლავ იღებენ ამომრჩევლთა მანდატებს მთავრობების შესადგენად.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარების უცილობელი ფაქტი და სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ დასავლეთის ქვეყნების ძირითადი ბურჟუაზიული პარტიების ხელმძღვანელი ცენტრები და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ბევრი მემარჯვენე ლიდერი გამალებული შეიარაღების პოზიციებზე დგანან.

ავიღოთ, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები. იქ არიან დემოკრატიული პარტია და რესპუბლიკური პარტია. მათ შორის წარმოებს რაღაც დავა, — მართალია, პოლიტიკაში გამოუცდელი ადამიანისათვის შეუძლებელია გაიგოს ამ დავის არსი, — მაგრამ ომის მომზადების საკითხებში რესპუბლიკური სპილოც და დემოკრატიული ვირიც ერთ უღელში არიან შებმული. ასეთივე მდგომარეობაა დასავლეთ გერმანიაში. ომისა და რევანშიზმის პარტია, რომელსაც სათავეში უდგას ადენაუერი, ტონს იძლევა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზედაფენა კი ბანს აძლევს მას. ინგლისში ძირეულ საკითხში — ომისა და მშვიდობის საკითხში — ლეიბორისტული პარტიის მემარჯვენე ხელმძღვანელობა, პარტიისა და ტრედ-უნიონების წევრთა ძირითადი მასის ნების საწინააღმდეგოდ, კუდში მისჩანჩალებს კონსერვატორებს, აქტიურად უჭერს მხარს მათს სამხედრო ღონისძიებებს. ძირითადად ასეთივეა სურათი საფრანგეთის მმართველ ბანაკში. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს — ნატოს, სეატოსა და სენტოს წევრებს, ისინი ფაქტიურად უაღრესად დაქვემდებარებულ როლს ასრულებენ და ომისა და მშვიდობის საკითხებში გადამწყვეტი სიტყვა არ ეკუთვნით. ნორვეგიასა და დანიაში მთავრობებს სათავეში უდგანან სოციალ-დემოკრატები. მაგრამ ეს მთავრობები ნაცვლად იმისა, რომ ასახავდნენ მუშათა კლასის, მთელი მშრომელი ხალხის ნებას, რომელსაც ომი არა სურს, კუდში მისჩანჩალებენ მილიტარისტულ ძალებს, თვითონ იღებენ მონაწილეობას ნატოს აგრესიულ ბლოკში, გამალებული შეიარაღების შესახებ გადაწყვეტილებათა შემუშავებაში.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ არსებობს უდიდესი შეუფარდებლობა ხალხების ნებასა, რომლებსაც ესმით, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს ახალი მსოფლიო ომი, და იმას შორის, რომ დასავლეთის ქვეყნებში ძლიერდება მზადება ასეთი ომისათვის. დასავლეთის ქვეყნების მოსახლეობის ბევრი ფენის ერთგვარი პასივობა მშვიდობისათვის ბრძოლაში, მათ მიერ თავიანთ შესაძლებლობათა შეუფასებლობა ხელსაყრელია ომის გამჩაღებლებისათვის.

საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევა ჭეშმარიტად დიადი მიზანია და იგი ყველა ხალხის დიად აქციებსა და ღონისძიებებს მოითხოვს. მომდინარე მომენტის მთელი პასუხსაგებობისა და სერიოზულობის სრული შეგნებით მინდა ამ ტრიბუნიდან მივმართო ყველა მამაკაცსა და ქალს, განურჩევლად მათი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და მრწამსისა, იმ თაობას, რომელმაც განიცადა ომის საშინელებანი, ახალგაზრდობას, რომელსაც ომზე წარმოდგენა აქვს მხოლოდ უფროსთა ნაამბობით: **დადგა დრო იმოქმედოთ! დედამიწაზე სიცოცხლისათვის, ყველა ადამიანთა ბედნიერებისათვის, კაცობრიობის მომავლისათვის საჭიროა მტკიცედ და გადაჭრით მოითხოვოთ ატომური იარაღის აკრძალვა და საყოველთაო განიარაღება!** ■

თავისი აქტიური მოქმედებით ხალხს შეუძლია პოლიტიკური ასპარეზი დაატოვებინოს ომის მქადაგებლებს, მიაღწიოს მთავრობების კურსის, საერთაშორისო ურთიერთობის მთელი ჰავის შეცვლას. მაგრამ ამისათვის საჭიროა ხალხის მთელი ძალების მოქმედება, მოქმედება და ერთხელ კიდევ მოქმედება. ეს არის არსი!

მუშებს, რომლებიც განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ოჯახებიანად მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ, შეუძლიათ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიტყვა თქვან მშვიდობის დასაცავად. მრავალმილიონიანი მუშათა კლასი, როგორც შემოქმედი კლასი, რომლისთვისაც უცხოა ნგრევა, ისტორიის მიერ მოწოდებულია გზა გადაუღობოს მეატომე ურჯულეებს, იხსნას კაცობრიობა სასიკვდილო საფრთხისაგან, რომელიც მას თავს დასტრიალებს.

გლეხებიც — ხალხის ძალების მეორე უდიდესი რაზმი — სისხლხორცეულად დაინტერესებული არიან იმით, რომ თავიდან აიცილონ თერმოატომური ომის ხანძარი. დადგა დრო, როცა გლეხთა უფართოესი მასების ხმა ომის წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში უნდა გაისმას.

განა შეუძლიათ **ქალებს,** რომლებიც სიცოცხლეს აძლევენ ახალ თაობებს, არ გამოიჩინონ ახლანდელ პირობებში განსაკუთრებული, თავს ნებას მივცემ ვთქვა, უმაგალითო აქტივობა იმ ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ატომური ომის გაჩაღებით იმუქრებიან. ასეთი ომი ხომ ბავშვთა ნათელ სამყაროს ობლებსა და ხეიბრების სამყაროდ გადააქცევდა!

ხოლო ჭაბუკები და ქალიშვილები, განა მათზე უაღრესად არ არის დამოკიდებული თანამედროვეობის კარდინალური საკითხის გადაჭრა? ომი — ეს ახალგაზრდობისათვის ყველა იმედის დამსხვრევაა, გათელილი სიჭაბუკეა. მშვიდობა — ეს არის შემოქმედების, ოცნების განხორციელების, კაცობრიობის სიმდიდრის გამრავლების, სამყაროს შეცნობის წარმტაცი პერსპექტივა.

მე მინდა ვთქვა, რომ ჯერ კიდევ არასოდეს ესოდენ მნიშვნელოვანი არ ყოფილა **ინტელიგენციის, მეცნიერების მოღვაწეების** — სულიერი კულტურის ამ ჯადოქრების, ბუნების სულ ახალ და ახალ საიდუმლოებათა აღმომჩენების როლი. სასიხარულოა ვხედავდეთ, რომ ბევრი მეცნიერი და კულტურის მოღვაწე, რომლებმაც შეიგნეს, თუ რა საფრთხეს უქმნიან კაცობრიობას თანამედროვე მომაკვდინებელი იარაღები, განგაშს ტეხს და მოუწოდებს ხალხებს ალაგმონ, სანამ გვიან არ არის, ომის ძალები. ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ დიდი ფრანგი მეცნიერის ჟოლიო კიურის სახელს, რომელიც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მშვიდობისადმი სამსახურის შთამაგონებელ მაგალითს წარმოადგენდა.

და მეცნიერებისა და ტექნიკის იმ მოღვაწეებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ატომური და წყალბადის ბომბების, რაკეტების, სამხედრო თვითმფრინავების, წყალქვეშა ნავების, ხომალდების შექმნაში, განა შეუძლიათ მოიხსნან პასუხისმგებლობა მშვიდობისმოყვარულ ქვეყნებზე თავდასასხმელად სიკვდილის ამ იარაღების გამოყენებისათვის? მდგომარეობა დასავლეთის ქვეყნებში ისეთია, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის წარმომადგენლები, შრომის ადამიანები ქმნიან უმაგალითო მომაკვდინებელ იარაღებს, ხოლო ამ იარაღებს განაგებს კაპიტალისტური მონოპოლიების მცირე ზედაფენა. მეცნიერებისა და ტექნიკის ადამიანთა სინდისი, გონება არ შეიძლება ურიგდებოდეს იმას, რომ მათ მიერ შექმნილი მძლავრი საშუალებანი მიმართულ იქნას ცივილიზაციის წინააღმდეგ, ხალხების წინააღმდეგ, თვითონ მათ წინააღმდეგ, დედამიწაზე სიცოცხლის წინააღმდეგ.

არ შეიძლება არ ვხედავდეთ პრინციპულ განსხვავებას იმ მეცნიერთა მდგომარეობაში, რომლებიც სამხედრო წარმოებაში მუშაობენ სოციალისტურ და იმპერიალისტურ ქვეყნებში. საბჭოთა მეცნიერები მუშაობენ იმ ქვეყანაში, რომელიც იბრძვის ომის აღმოფხვრისათვის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, მუშაობენ მშვიდობის განმტკიცებისათვის. მაგრამ საბჭოთა მეცნიერებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, სურთ განიარაღების პირობებში მთელ ძალღონესა და უნარს ახმარონ ადამიანებისადმი ნებლობას და მხოლოდ აღმშენებლობას.

ისტორიამ უაღრესად მწვავე საკითხი დააყენა კაპიტალისტური ქვეყნების საქმიანი წრეების წინაშეც. თუ წარსულ ომებში მილიონობით ადამიანის სიკვდილს თან ახლდა საქმიანი სამყაროს წარმომადგენელთა ზღაპრული მოგება, თანამედროვე ომი მათ დაღუპვას მოუტანს და არა მოგებას. ატომური იარაღი მდიდრებსა და ღარიბებს არ არჩევს. მხოლოდ სიგიჟემდე მისულ ზემილიტარისტებს, რომლებიც ზიზღით უყურებენ ხალხთა ბედიღბალს, შეუძლიათ ვარაუდობდნენ, რომ თვითონ ისინი მოახერხებენ გადარჩენენ ბომბსაფრებში. ატომური ბომბებისაგან თავშესაფარი არ არსებობს. ვისაც სიცოცხლე სურს, იგი განიარაღებისათვის უნდა იბრძოდეს.

დიად ბრძოლაში, რომელიც მშვიდობისათვის ჩაღდება, სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებსაც ჩვეულებრივად არაშეერთებულ ან ნეიტრალისტურ სახელმწიფოებს უწოდებენ. ინდოეთი და ინდონეზია, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა და ბრაზილია, განა და გვინეა, ცეილონი და ბირმა, ავღანეთი და მალი, ისევე როგორც ბევრი სხვა სახელმწიფო, მხარს უჭერენ იმას, რომ დაიდოს ხელშეკრულება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხში, თერმოატომური ომის თავიდან აცილების საკითხში არ შეიძლება იყოს ნეიტრალიტეტი. თუ ომი ატყდა, იგი ხომ არა მარტო მეომარ სახელმწიფოებს ჩაითრევს, იგი უმძიმეს გაჭირვებას მოუტანს ნეიტრალური ქვეყნების მოსახლეობასაც. ნეიტრალისტური სახელმწიფოები მოწოდებული არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი დროის ყველაზე მთავარი საკითხის გადაჭრაში. ისინი შეიტანენ ამ წვლილს, თუ თვითეული მათგანის პოლიტიკა განიარაღების საკითხებში არ იქნება გარედან პოლიტიკური და ეკონომიური ზემოქმედების გავლენაში, მერკანტილური, დროებითი ინტერესების გავლენაში.

პატივცემულო დელეგატებო! მშვიდობისათვის ბრძოლა სხვადასხვა კლასისა და პოლიტიკური მრწამსის ადამიანებს აერთიანებს. ქარიშხლისწინა ვითარება გვიკარნახებს, რომ საჭიროა შეიქმნას ხალხთა ნამდვილად მსოფლიო ანტისამხედრო კავშირი, რომელმაც უნდა გამოხატოს ყველა საზოგადოებრივი ფენის, ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის, ოკეანის ყველა ერის ნება. ერთ მიზანს შეუძლია განსაზღვროს სულ სხვადასხვა მშვიდობისმოყვარე ძალების ამ ჭეშმარიტად მსოფლიო გაერთიანების პროგრამა და მთელი მოღვაწეობა — არ დაუშვას თერმოატომური ომი, საალყო მდგომარეობაში ჩააყენოს ომისმოყვარული მანიაკები.

ნება მიბოძეთ პირობა მივცე კონგრესს, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც ყველა ღონისძიებას იხმარს იმისათვის, რომ დაიცვას მშვიდობის დიადი და წმიდათა-წმიდა საქმე.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს მშვიდობას და ყველა ხალხთა შორის მეგობრობას. ჩვენმა მთავრობამ დამავალა ამ ტრიბუნიდან განვაცხადო, რომ საბჭოთა ხალხს სურს შრომისმოყვარე, ნიჭიერ ამერიკელ ხალხთან მშვიდობასა და მეგობრობაში იცხოვროს. საბჭოთა ხალხსა და ამერიკელ ხალხს ერთმანეთთან მტრობის არავითარი მიზეზი არა აქვთ. მათს საერთო ინტერესებს შეესაბამება მშვიდობა და მეგობრობა. საბჭოთა ხალხი მოუწოდებს ამერიკელ ხალხს, ისევე როგორც ყველა ხალხს, ერთობლივი ბრძოლისაკენ ამ კეთილშობილური მიზნებისათვის.

მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ გადამწყვეტი ძალა განიარაღებისათვის ბრძოლაში — ეს არის ხალხის მასები, მათი აქტიური მოქმედება. დაე მსოფლიო მოძრაობა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობისათვის დღითიდღე, ყოველკვირეულად იზრდებოდეს. დაე ყველა ხალხები ამხედრდნენ და თავიანთი აქტიური მოქმედებით გზა გადაუღობონ მსოფლიო ომს, მიაღწიონ განიარაღებას. რაც უფრო ფართო იქნება მშვიდობისათვის მებრძოლთა არმია, რაც უფრო აქტიური იქნება იგი, მით უფრო მალე იქნება მიღწეული საყოველთაო და სრული განიარაღება. ეჭვს გარეშეა, რომ თვითეული ქვეყნის ხალხი მონახავს საყოველთაო განიარაღებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის ეფექტურ, კონკრეტული პირობების ყველაზე შესაბამის ფორმებსა და მეთოდებს და ღირსეულ წვლილს შეიტანს ამ ამოცანის გადაწყვეტაში.

ას წელიწადზე მეტი ხნის წინათ ვიქტორ ჰიუგო მშვიდობის მეგობართა პარიზის კონგრესზე ლაპარაკობდა იმ მომავალი დღის შესახებ, როცა ზარბაზნები მუზეუმებში იქნება გამოფენილი და ადამიანები განცვიფრებას მიეცემიან იმის გამო, რომ წარსულში შესაძლებელი იყო ასეთი ბარბაროსობა. „დადგება დღე, — ამბობდა ვიქტორ ჰიუგო, — როცა ერთადერთი ბრძოლის ველი იქნება ვაჭრობისათვის გზახსნილი ბაზრები და იდეებისათვის გზახსნილი გონება".

„მშვიდობა, ვაჭრობა და პატიოსანი მეგობრობა ყველა ერთან — ისე, რომ არ არსებობდნენ ვერაგი კავშირები", — აი რა სურდა ეხილა მომავლის საერთაშორისო ურთიერთობაში დიდ ამერიკელს ტომას ჯეფერსონს.

იმ დროს ეს მოწოდებანი მშვენიერი, მაგრამ განუხორციელებელი ოცნება იყო. ახლა, როცა არსებობს მძლავრი მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რომელიც მთელ თავის ძალებს ახმარს მშვიდობისათვის ბრძოლას, როცა საერთაშორისო ასპარეზზე გამოდის აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის მშვიდობისმოყვარულ სახელმწიფოთა დიდი ჯგუფი, როცა მუშათა, საერთოდემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გადაიქცა თანამედროვეობის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად, იქმნება რეალური პირობები იმისათვის, რომ თაობათა ოცნება მშვიდობაზე, ბოლოს, განხორციელდეს.

მეგობრებო! ხალხები ამ კონგრესის მუშაობას შორსგამიზნულ იმედებს უკავშირებენ. **მაშ დაე კონგრესის მოწოდება მთელ მსოფლიოში გაისმას და ახალი ათეული მილიონობით ადამიანი აღაფრთოვანოს გადამწყვეტი, თავდადებული ბრძოლისათვის დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის მოსაპოვებლად!**

როცა ცალკეული ნაკადულები, რომლებისგანაც შედგება